Created by Simpo PDF Creator Pro (unregistered version)
http://www.simpopdf.com

# ხელშეკრულება №20

ქ. თბილისი 25 აპრილი 2012 წელი

ერთის მხრივ, ს.ს.ი.პ თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის სახელმწიფო თეატრი მისი მმართველის დავით დოიაშვილის სახით, (შემდგომში „დამკვეთი“) და, მეორეს მხრივ შპს "სარეკლამო სააგენტო დი ემ"-ს სახით შემდგომში "შემსრულებელი" ეხელმძღვანელობით რა საქართველოს კანონმდებლობით, ედებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. "დამკვეთი" აძლევს დავალებას, ხოლო "შემსრულებელი" სათანადო ანაზღაურებით კისრულობს შეკვეთით ნაბეჭდი მასალის (CPV- 22458000), კერძოდ ტიტულიანი ბლანკების, შტამპების დამზადებას, "დამკვეთის" წინაშე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

## 2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 "დამკვეთი" ვალდებულია გადაუხადოს "შემსრულებელს" ანაზღაურება 131.00 (ასოცდათერთმეტი) ლარი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარჯების (დ.დ.გ და სხვა) გადასახადების ჩათვლით;

## 3. ხელშეკრულების ამოქმედება, მოქმედების ვადა, შეწყვეტა

3.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ მისი ხელმოწერის დღიდან 2012 წლის 25 აპრილიდან 2012 წლის 1 მაისამდე.

3.2. ნაკისრი ვალდებულების შესრულების პარალელურად "შემსრულებელი" უზრუნველყოფს თანმხლები დოკუმენტაციის წარმოდგენას, კერძოდ, საგადასახადო ანგარიშფაქტურას ან/და სასაქონლო ზედნადებს ან მიღება ჩაბარების აქტს.

## 4. მხარეთა უფლებები და მოვალეობები

4.1 "დამკვეთი" ვალდებულია:

4.1.1 განუმარტოს "შემსრულებელს" ის აუცილებელი მოთხოვნები, რაც გათვალისწინებული უნდა იყოს მის მიერ სამუშაოს შესრულებისას;

4.1.2. მიაწოდოს "შემსრულებელს" ყველა სახის ინფორმაცია რაც დაეხმარება ამ უკანასკნელს სამუშაოს შესრულებაში;

4.1.3. დროულად და სრულად გადაუხადოს "შემსრულებელს" წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურება;

4.1.4. შესასრულებელი სამუშაოდან გამომდინარე უზრუნველყოს "შემსრულებელი" სათანადო პირობებით.

4.2 "შემსრულებელი" ვალდებულია:

4.2.1 დროულად და სრულად გაუწიოს "დამკვეთს" მოვალეობის შესრულება.

4.2.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადაში უზრუნველყოს "დამკვეთი"-ს მიერ მასზე დაკისრებული მოვალეობის მაღალპროფესიონალურად შესრულება;

4.2.3. ხელშეკრულების არასაპატიო მიზეზით მოშლის შემთხვევაში "დამკვეთს" გადაუხადოს პირგასამტეხლო სახელშეკრულებო თანხის სრული მოცულობით

Created by Simpo PDF Creator Pro (unregistered version)
http://www.simpopdf.com

## 5. დამატებითი დებულებები

5.1 "დამკვეთი" და "შემსრულებელი" კონფიდენციალურად შეინახავენ წინამდებარე ხელშკრულების შინაარს.

## 6. ფორს-მაჟორი

6.1 მხარეები თავისუფლდებიან ყოველგვარი პასუხისმგებლობისაგან, თუ მიყენებული ზარალი გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (ფორს-მაჟორი) არსებობით. ასეთ გარემოებებად მიიჩნევა საბრძოლო მოქმედებები, სტიქიური უბედურება, სახელმწიფო ორგანოების მიერ მიღებული ნორმატიული აქტები და ა.შ.

## 7. დასკვნითი დებულებები

7.1 წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა სადავო საკითხი გადაწყდება ურთიერთშეთანხმების გზით;
7.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში ყველა სადავო საკითხი განიხილება სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
7.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად; ორივე ეგზემპლარს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

## 8. მხარეთა რეკვიზიტები:

"დამკვეთი"

ს.ს.ი.პ თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის სახელმწიფო თეატრი ს/კ 201948928

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №182

სს „საქართველოს ბანკი", კოდი: 220101502,

ა/ა 123361000

თეატრის მმართველი

დავით დოიაშვილი

"შემსრულებელი"

შპს "სარეკლამო სააგენტო დი ემ"

მის: თბილისი ფურცელაძის ქ. 17

ტელ: 293-63-01

საიდენტიფიკაციო კოდი: 204570302

ბანკი: საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი
ანგ №: GE12BG0000000253800900
ბანკის კოდი: BAGAGE22

„შემსრულებელი"

დირექტორი

ხელმოწერა